საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი

წინამდებარე წესი არეგულირებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შიდა და გარე მექანიზმებს. წესი ეფუძნება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას.

მუხლი 1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები

1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“.
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების წლიური ანგარიში წარედგინება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შესაბამისი ვადებისა და წარდგენის ფორმების დაცვით.
3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია ავტორიზაციის თვითშეფასების წლიური ანგარიშის სახით წარედგინება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შესაბამისი ვადების და წარდგენის ფორმების დაცვით.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შიდა მექანიზმები

1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შიდა მექანიზმები ეფუძნება სისტემატიურ ანალიზს პროგრამის შინაარსის, მასთან დაკავშირებული პროცესების და სტუდენტების მიღწევების შესახებ.
2. პროგრამის შინაარსის შეფასება ეფუძნება პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტებს, ავტორიზაციის სტანდარტებს, პროგრამის და მისი კომპონენტების შემუშავების რეკომენდაციებს (დანართები: #1, #2), ილიას სახელმწიფო უნივესიტეტის შესაბისი საფეხურის პროგრამების სტანდარტებს, სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში - სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებას.
3. პროგრამის მრავალმხრივი შეფასების მიზნით გამოიყენება სტუდენტების სისტემატიური გამოკითხვები/ფოკუს-ჯგუფები, რომლებშიც ვლინდება სტუდენტების შეფასება პროგრამის შინაარსსა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ;

4. სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პროგრამის თითოეული კომპონენტის ფარგლებში, მათი მიღწევების რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე.
5. სტუდენტების გამოკითხვის უზრუნველყოფისა და მათი სწავლის შედეგების ანალიზის მიზნებისთვის გამოიყენება სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „არგუსი“, რომლის ბაზაზე შესაძლებელი ხდება ელექტორნული კითხვარების მიწოდება თითეული სტუდენტისთვის და შესაბამისი მონაცემების შეგროვება.
6. სტუდენტების გამოკითხვების შედეგები და მათი აკადემიური მიღწევების შესახებ რაოდენობრივი მონაცემები ხელმისაწვდომი ხდება შესაბამისი კომპონენტის განმახორციელებელი პროფესორ-მასწავლებლისათვის, ფაკულტეტის/სკოლის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის.
7. სტუდენტების გამოკითხვისას დაცულია ანონიმურობა.
8. პროგრამის შეფასების შიდა მექანიზმები ითვალისწინებს კურსდამთავრებულების გამოკითხვებს, რომელთა საშუალებითაც ვლინდება პროგრამის როლი მათი პროფესიური ცოდნისა და უნარების განვითარებისთვის და კარიერული ზრდისთვის.
9. პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება ცვლილებები, რომლებიც ემსახურება გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას და პროგრამის და მისი კომპომენტების შემდგომ გაუმჯობესებას.
10. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამის შეფასების პროცესში შესაძლებელია ჩაერთოს სხვადასხვა დაინტერესებული მხარე (მაგ. დარგის ადგილობრივი ან საერთაშორისო ექსპერტი, პარტნიორი ორგანიზაცია, დამსაქმებელი და ა.შ.). მათი ჩართულობა შეიძლება ითვალისწინებდეს თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმას (მაგ. პროგრამის რეცენზირება, პროგრამის ფარგლებში საკვალიფიკაციო ნაშრომის რეცენზირება/დაცვის პროცესში მონაწილეობა, გამოკითხვა და სხვ.).